თუ გამოთვლილია საფენის მინარევების კონცენტრაცია და გაღარიბების სიღრმე, მაშინ შესაძლებელია აიგოს მინარევების განაწილების პროფილი.

2.2.2. ზედაპირული პროფილომეტრია

ზედაპირის რელიეფის გამზომი დანადგარია ALPHA STEP-200 PROFILOMETER, რომლის ფოტო მოცემულია სურ.2.9-ზე. ეს მოწყობილობა არის მექანიკური პროფილომეტრია [103-108], რომელიც ფირფიტის რელიეფს ზომავს მის ზედაპირზე

ნემსის მექანიკური გადაადგილებით. ნემსის დიამეტრი 12 მკმ–ია, ხოლო შეხების დაწოლა ≈ 8.5 მგ. ზედაპირული ხორკლიანობის გაზომვის ერთ–ერთი მთავარი პარამეტრია ზედაპირზე მაქსიმალურ სიღრმესა და მაქსიმალურ სიმაღლეს შორის სხვაობა (Ra).




სურ. 2.9 პროფილომეტრი ALPHA STEP-200

2.2.3. რენტგენო–დიფრაქციული მეთოდი

კრისტალურ სხეულებზე რენტგენის სხივთა მოქმედებისას, რომელთა ტალღის სიგრძე დაახლოებით ატომთა შორის მანძილის ტოლია $\approx 2\text{\AA}$, ხდება რენტგენის სხივთა დიფრაქცია [109]. ამ დროს ხდება კრისტალურ მესერზე ე.წ. სელექტიური არეკვლა, ანუ შერჩევითი არეკვლა. კრისტალზე რენტგენის დაცემისას სხივების ნაწილი შთანთქმება და ნაწილი გაიბნევა ატომებზე [110]. ამ დროს მისი ატომების თითოეული ელექტრონი შთანთქავს პირველადი რენტგენული გამოსხივების მცირე ენერგიას, მოდის რხევით მოძრაობაში და ასხივებს მიღებულ ენერგიას ყველა მიმართულებით. გამოსხივებული სხივები კოჰერენტულია, გარკვეული მიმართულებით, ატომების მიერ გამოსხივებული ენერგიები იკრიბება და მიიღება დიფრაქციულ სურათი, ე.ი. დიფრაქციული სურათი მიიღება იმ შემთხვევაში თუ გამოსხივებული სხივები იმყოფებიან ერთნაირ ფაზებში, ანუ როდესაც მოხდება ტალღების მაქსიმუმების (ან მინიმუმების) ზედდება. დავადგინოთ თუ რა პირობებში მიიღება დიფრაქციული სურათი [111].

განვიხილოთ კრისტალში პარალელური ატომური სიბრტყეები AA და BB (ნახ.2.10). დავუშვათ რომ, ამ სისტემაში მდებარე M და M_1 ატომებს ეცემა

მონოქრომატული პირველადი რენტგენული სხივების კონა LM და L_1M_1 მიმართულებებით.



ნახ. 2.10 ბრეგის კანონით რენტგენული დიფრაქცია

არეკვლის კანონების საფუძველზე, ორივე სხივის შემთხვევაში დაცემის და არეკვლის კუთხეები ტოლია $\Theta = \Theta$. AA და BB პარალელურ სიბრტყეთა შორის მანძილი ავლნილნოთ d -თი. M წერტილიდან L_1M_1 და M_1N_1 სხივზე დავუშვათ პერპენდიკულარები, რომლებიც L_1M_1 და M_1N_1 სხივებზე მოჭრიან PM_1 და M_1Q ტოლ მონაკვეთებს. როგორც ნახაზიდან ჩანს, სვლათა სხვაობა $[112]$ $L_1M_1N_1$ და LMN სხივებს შორის არის PM_1Q . თანახმად, იმისა, რომ $\Delta PPM_1 = \Delta MM_1Q$, ანუ $PM_1 = M_1Q$, სხივების სვლათა სხვაობა შეიძლება ასე ჩაიწეროს:

$$L_1M_1N_1 - LMN = 2PM_1 \quad (2.27)$$

ΔQMM_1 და ΔPPM_1 აგების თანახმად მართკუთხა სამკუთხედებია, ამიტომ ისინი ერთმანეთის მსგავსია და M წვეროსთან მდებარე კუთხეები ტოლია. ΔPPM_1 -დან

$$PM_1 = d \sin \Theta \quad (2.28)$$

თუ გავითვალისწინებთ (2.28) ფორმულას, მივიღებთ

$$L_1M_1N_1 - LMN = 2d \sin \Theta \quad (2.29)$$

არეკვლილ სხივთა შორის ინტერფერენციის მაქსიმუმებისთვის უნდა დაკმაყოფილდეს პირობა:

$$L_1M_1N_1 - LMN = n\lambda \quad (2.30)$$

სადაც, λ -- რენტგენული გამოსხივების ტალღის სიგრძეა, ხოლო n - კი გვიჩვენებს ტალღის სიგრძეების რაოდენობას, რომელიც თავსდება LM და L_1M_1 სხივებისთვის არსებულ სვლათა სხვაობაში და ეწოდება არეკვლის რიგი ($n=1,2,3...$) [112].

თუ გავაერთიანებთ (2.29) და (2.30) ფორმულებს მივიღებთ რომ,

$$n\lambda = 2d \sin \Theta \quad (2.31)$$


(2.31) ფორმულა ცნობილია ბრეგის კანონის სახელწოდებით და წარმოადგენს მთავარ ფორმულას რენტგენულ ანალიზისთვის. (2.31) ფორმულის აზრი მდგომარეობს შემდეგში: თუ პარალელურ ატომურ სიბრტყეებს, რომელთა შორის მანძილი არის d , რაღაც Θ კუთხით ეცემა λ -ს ტოლი ტალღის სიგრძის გამოსხივება, დიფრაგირებული სხივი (გაძლიერებული) მიიღება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაცემული და არეკვლილი სხივები ფაზებით ერთმანეთს ემთხვევა ან წარმოადგენს მის ჯერად მთელ რიცხვს - $2\lambda, 3\lambda \dots$ და ა.შ [113-114].

ექსპერიმენტულ გაზომვების შედეგად დგინდება შესასწავლი ნივთიერებისათვის დიფრაქციის კუთხე, ბრეგის ფორმულის საშუალებით, თუ ცნობილი პირველადი გამოსხივების ტალღის სიგრძე λ და გვექნება შესასწავლი ნივთიერების პარალელური ატომურ სიბრტყეთა შორის მანძილი d . შემდგომ ეტაპზე სპეციალური ცხრილების საშუალებით ვეძებთ d -ს მნიშვნელობას და ვადგენთ ნივთიერების გვარობას.

2.2.4. X - სხივების ფოტოელექტრონული სპექტროსკოპია (XPS)

X-სხივების ფოტოელექტრონული სპექტროსკოპია (XPS) არის ზედაპირის სპექტროსკოპული ანალიზი, რომელიც ზომავს ელემენტარულ შედგენილობას, ემპირიულ ფორმულას, ქიმიურ და ელექტრონულ მდგომარეობას იმ ელემენტისას, რომელიც არსებობს მასალაში [115-117]. XPS სპექტრები დაიმზირება, როდესაც ნიმუში დასხივდება X-სხივებით და იმავდროულად გაიზომება კინეტიკური ენერგია და რაოდენობა იმ ელექტრონებისა, რომლებიც ამოიფრქვევა მასალიდან $\sim 10^6$ სისქის ფენიდან (ნახ. 2.11). XPS მოითხოვს მაღალ ვაკუუმს ($P \sim 10^{-6}$ პა) ან ულტრა-მაღალ

ვაკუუმს (უმჯ; $P < 10^{-7}$ პა). XPS მეთოდი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ზედაპირის ქიმიური ანალიზისთვის უშუალოდ ზედაპირიდან ან გარკვეული სისქის ჩაწამვლის შემდეგ სიღრმიდან.



სურ. 2.11 X-სხივების ფოტოელექტრონული სპექტროსკოპიის ხელსაწყო

იონური მოწამვლის შედეგად შესაძლებელია გარკვეული სისქის ფენის მოწამვლა და გაზომვა [118]. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა სიღრმის მიხედვით ელემენტების განაწილების პროფილის განსაზღვრას. ასევე დააფიქსიროს პრაქტიკულად ყველა ქიმიური ელემენტი დაწყებული ლითიუმით ($Z = 3$) და მის ზემოთ. მას არ შეუძლია ადვილად დააფიქსიროს წყალბადი ($Z = 1$) და ჰელიუმი ($Z = 2$). იგი გამოიყენება არაორგანული ნაერთების, მეტალის შენადნობების, ნახევარგამტარების, პოლიმერების, კატალიზების, კერამიკების, საღებავების, კოსმეტიკის, კბილების, სამედიცინო დანიშნულების ნივთიერებების ანალიზისთვის. XPS-ის ხელსაწყო (სურ.2.11) წარმოადგენს სინქროტონს, ფოკუსირებული 20 – 500 მკმ-მდე დიამეტრის მონოქრომატული Al K α X- სხივით, ან 10-30 მმ დიამეტრის არამონოქრომატული (პოლიქრომატული) Al K α X- სხივით. რადგან X-სხივების ენერგია მოცემული ტალღის სიგრძისთვის ცნობილია (მაგ: Al K α X-სხივებისთვის, $E_{\text{photon}} = 1486.7$ ევ) და ამოტყორცნილი ელექტრონების ენერგია იზომება, ამიტომ შესაძლებელია განისაზღვროს ამოტყორცნილი ელექტრონების ბმის ენერგია ცნობილი ერნესტ რუდერფორდის ფორმულიდან [119]:

$$E_{binding} = E_{photon} - (E_{kinetic} + \Phi) \quad (2.32)$$

სადაც, $E_{binding}$ არის ელექტრონის ბმის ენერგია, E_{photon} არის X-სხივების ენერგია, $E_{kinetic}$ არის ხელსაწყოს მიერ გაზომილი ელექტრონის კინეტიკური ენერგია და Φ არის გამოსვლის მუშაობა [120-121].

3. სტიმულირებული პლაზმური ანოდირებით ნახევარგამტარული და მეტალური თხელი ოქსიდური ფირების მიღების ექსპერიმენტული პროცესები

3.1. სილიციუმზე გარდამავალ მეტალთა ოქსიდური ფირების ფორმირება

3.1.1. გარდამავალ მეტალთა ფირების ფორმირება

სილიციუმზე გარდამავალ მეტალთა (ჰაფნიუმის, ტიტანის, ცირკონიუმის) ოქსიდური ფირების ფორმირებისთვის, §2.1.1-ში აღნიშნული ქიმიური მეთოდით საფენების ზედაპირების გასუფთავების შემდეგ, ნიმუშები თავსდება სპეციალურ დამჭერებით ვაკუუმურ დანადგარ YBH-2M-1-ში, სადაც ხდება Hf-ის ან Ti-ის ან Zr-ის თერმოვაკუუმური დაფენა. ამ პროცესის არსი შემდეგშია: სპილენძის სადენებს შორის, წინასწარ ქიმიურად გასუფთავებულ W-ის ამორთქლებელზე მოთავსებულია Hf-ის ან Ti-ის ან Zr-ის მასალა (~2250 მგრ), სისუფთავით 99,98%. ვაკუუმური დანადგარის ხუფის ქვეშ, წნევაზე $3 \cdot 10^{-6}$ მმ.ვწყ.სვ სადენებს შორის გამავალი დენი ახურებს W-ის ამორთქლებელს, რაც ახდენს შესაბამისი ნივთიერების დნობას, აორთქლებას და საფენზე დაფენას. სისქით 30–40 ნმ ფირები ეფინება რამდენიმე (5÷12) წმ-ის განმავლობაში და 473K ტემპერატურაზე. მიღებული სტრუქტურის სახე მოცემულია ნახ.3.1-ზე. აუცილებელია მაღალი ვაკუუმის შექმნა, იმის გამო, რომ სხვა, ნარჩენი ნივთიერების ატომი არ შეერიოს დაფენილ ფენაში. ამორთქლებელს და საფენს შორის მანძილისა და დაფენის დროის შერჩევით შესაძლებელია დაფენილი ფირის სისქის რეგულირება.




ნახ. 3.1 Si-ზე ფორმირებული Si-გარდამავალი მეტალი სტრუქტურა

3.1.2. გარდამავალ მეტალთა ოქსიდური ფირების ფორმირება

სილიციუმზე გარდამავალ მეტალთა ოქსიდური ფირების ფორმირებისთვის, ხდებოდა მიღებული სტრუქტურების Si-გარდამავალი მეტალის (ნახ.3.1)

დაბალტემპერატურული სტიმულირებული პლაზმური ანოდირება ვაკუუმურ დანადგარ YPM3.279.013–ში, რომლის სქემატური ნახაზი მოცემულია ნახ.3.2–ზე. სილიციუმზე მიღებული სტრუქტურა თავსდება სპეციალურ დამჭერზე, რომლის ტემპერატურა იცვლებოდა 473-750 K ტემპერატურულ დიაპაზონში. ნიმუში ხურდებოდა ჰალოგენური ნათურების კომპლექსით KI500 ტიპის ნათურებით (9). ანოდი (2) და კათოდი (3) მოთავსებული იყო უჟანგავი მეტალისგან დამზადებულ



ნახ. 3.2 პლაზმური ანოდირების დანადგარის სქემატური ნახაზი:
 1–ხუფი; 2–ანოდი; 3–კათოდი; 4– სამიზნის კონტაქტი; 5– ნიმუში;
 6–პლაზმის დამჭერი; 7–თერმოწყვილის გამომყვანები; 8–ულტრა–
 ისფერი დასხივების წყარო; 9–ნიმუშის გამახურებელი.

პლაზმის დამჭერში (6), რომელსაც გააჩნდა ორი სარკმელი: 1) იმისთვის, რომ პლაზმა შეხებოდა ნიმუშის ზედაპირს სამუშაო მოცულობაში და 2) გაეშვა ულტრაისფერი სინათლე ნიმუშისკენ პლაზმის გავლით. ხუფის (1) ქვეშ, მექანიკური და დიფუზიური ტუმბოების საშუალებით იქმნებოდა ვაკუუმი 10^{-6} მმ.ვწყ.სვ. შემდეგ ხდებოდა ჟანგბადის და არგონის აირების ნარევის (8:1) შეშვება და წნევა დადიოდა 10^{-2} მმ.ვწყ.სვ–მდე. ანოდსა და კათოდს შორის ხდებოდა 150-200 ვ ძაბვის მოდება და

შეშვებულ გაზში ინთებოდა პლაზმა, რის შედეგად მიიღებოდა ჟანგბადშემცველი მღვივადი პლაზმური განმუხტვა. პლაზმური ანოდირების პროცესის დაწყებამდე ინთებოდა ულტრაიისფერი გამოსხივების წყარი (8), რომლის სიმძლავრე იყო 240 ვტ. პლაზმური ანოდირების პროცესი მიმდინარეობდა მაშინ, როდესაც ნიმუშზე ედებოდა პლაზმის მიმართ დადებითი პოტენციალი. პლაზმური ანოდირების პროცესი მიმდინარეობდა გალვანოსტატიკურ რეჟიმში, ანუ მუდმივი დენის სიმკვრივის პირობებში. ნიმუშში გამავალი ფორმირების დენი და ნიმუშზე მოდებული მზარდი პოტენციალის მნიშვნელობები ფიქსირდებოდა M1107 ამპერმეტრით და M1106 ვოლტმეტრით. ნიმუშზე კვების წყაროდან კათოდის მიმართ ედებოდა დადებითი პოტენციალი.

ოქსიდირების პროცესი მიმდინარეობდა $P=2 \cdot 10^{-2}$ მმ. ვც. წყ წნევაზე, (473÷673)K ტემპერატურაზე, ულტრაიისფერი სინათლის თანხლებით, გალვანოსტატიკურ რეჟიმში, $2 \div 0,5$ მა/სმ² ფორმირების დენის სიმკვრივეზე, 10÷15 წუთის განმავლობაში, მიღებული ოქსიდური ფირების სისქეები მერყეობდა 30÷120 ნმ შუალედში.

3.2. გალიუმის არსენიდზე საკუთარი ოქსიდური ფირის ფორმირება

გალიუმის არსენიდზე საკუთარი ოქსიდის ($xGa_2O_3+yAs_2O_3$) მიღების ტექნოლოგიური მარშრუტი შეიცავს შემდეგ ოპერაციებს: 1) GaAs-ის ფირფიტების ზედაპირების ქიმიური დამუშავება (§2.1.1–ში აღნიშნული ქიმიური მეთოდით) და 2) ულტრაიისფერი სხივებით სტიმულირებული პროცესი, რომლის ჩატარების პირობები ისეთივეა, როგორც ზემოთ (§3.1.2) იყო აღნიშნული. აღსანიშნავია, რომ უი – ს მოქმედებით ანოდირების პროცესში, ოქსიდირების სიჩქარის გაზრდასთან ერთად იზრდება GaAs-ის ოქსიდის თანაბრობა სისქის მიხედვით ზედაპირზე.

3.3. სტიმულირებული პლაზმური ანოდირების პროცესის კინეტიკა


ოქსიდების ფორმირების ტექნოლოგიაში მისი სისქის ზრდის დროზე დამოკიდებულების, ანუ მისი კინეტიკის შესწავლის პროცესი უაღრესად

მნიშვნელოვანია. მისი საშუალებით შესაძლებელია დადგინდეს ოქსიდის გარღვევის მომენტი, სტრუქტურის სრულყოფა და ა.შ. ამიტომ ნახევარგამტარის ქვესაფენზე ოქსიდების ზრდის კინეტიკურ კანონზომიერებებზე ანოდირების პროცესების ზეგავლენის გამოკვლევა ჩატარდა ანოდირების გალვანოსტატიკურ (ფორმირების დენის სიმკვრივის მუდმოვობის) რეჟიმში. პლაზმური ანოდირების კინეტიკაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ისეთი ტექნოლოგიური პარამეტრები როგორცაა: ფორმირების დენის სიმკვრივე, ქვესაფენის ტემპერატურა, წნევა ხუფის ქვეშ და ანოდირების პროცესის ხანგრძლიობა. ეს უკანასკნელი გავლენას ახდენს მიღებული ოქსიდური ფირის სისქეზე.


ქანგბადშემცველ პლაზმაში ფირების დაჟანგვის პროცესის გამოკვლევა ტარდებოდა ოქსიდის ფირის ზრდის კინეტიკაზე დაკვირვების საფუძველზე, როცა ფორმირების დენის სიმკვრივე იყო მუდმივი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პროცესის დროს ოქსიდის სისქის ზრდა პირდაპირპროპორციულია მასზე ძაბვის ზრდისა, ფაქტობრივად ექსპერიმენტზე დამზერილი ძაბვის ვარდნის ზრდა ეთანადება ოქსიდის ფირის სისქის ზრდას. ამიტომ, ოქსიდზე ძაბვის ვარდნის გარკვეულ სიდიდეს ეთანადება შესაბამისი ოქსიდური ფირის სისქე, რომელსაც ეწოდება ანოდირების კოეფიციენტი და ცხადია ანოდირების დროზე დამოკიდებულება ცალსახად ასახავს ოქსიდის ფირის სისქის ზრდის სიჩქარეს. ანოდირების კოეფიციენტის დროზე დამოკიდებულება, ანუ ფირის ზრდის სიჩქარე დამოკიდებული იქნება ანოდირების პროცესის პარამეტრებზე.

ულტრაიისფერი სინათლით სტიმულირებული პლაზმური ანოდირების პროცესის უპირატესობა არასტიმულირებულ პროცესთან შედარებით მოცემულია ნახ.3.3-ზე და ნახ.3.4-ზე. მაგალითისთვის, აღებულია გარდამავალი მეტალების ოქსიდების HfO_2 -ის და ZrO_2 -ის ზრდის კინეტიკა, როდესაც ანოდირების პროცესი მიმდინარეობდა ულტრაიისფერი სინათლით სტიმულირებისა (1) და სტიმულაციის გარეშე (2). ამ ნახაზებზე, მოცემულია ოქსიდზე ძაბვის ვარდნის დამოკიდებულება დროზე. რადგან ანოდირების პროცესი მიმდინარეობს მუდმივი დენის სიმკვრივის პირობებში, ამიტომ, პროცესის დროს მუდმივად ხდება ძაბვის მომატება ოქსიდზე ძაბვის ვარდნის გამო. დაანგარიშებული ოქსიდის ზრდის სიჩქარე არის 12 ნმ/წთ და

3 ნმ/წთ (ნახ.3.3) შესაბამისად სტიმულირებისა და სტიმულირების გარეშე, რაც გვიჩვენებს, რომ HfO_2 -ის ზრდის სიჩქარე 4 - ჯერ იზრდება. ხოლო, ნახ.3.4-დან




ნახ. 3.3 სილიციუმზე HfO_2 -ის ზრდის კინეტიკა ულტრა იისფერი სინათლის გამოყენებით (1) და მის გარეშე(2), ორივე შემთხვევაში 2 მა/სმ^2 ანოდირების დენის სიმკვრივისთვის



ნახ. 3.4 სილიციუმზე ZrO_2 -ის ზრდის კინეტიკა ულტრა იისფერი სინათლის გამოყენებით (1) და მის გარეშე(2), ორივე შემთხვევაში 2 მა/სმ^2 ანოდირების დენის სიმკვრივისთვის

დაანგარიშებული ზრდის სიჩქარე არის 10 ნმ/წთ და 2 ნმ/წთ შესაბამისად, რაც აჩვენებს ZrO_2 -თვის ზრდის სიჩქარის 5-ჯერ ზრდას.


ნახ.3.5-ზე ნაჩვენებია HfO_2 -ის ზრდის კინეტიკა 673K ტემპერატურაზე. როგორც ნახაზიდან ჩანს, ექსპერიმენტში განხილული იყო ანოდირების სამი რეჟიმი: 0.5 მა/სმ², 1 მა/სმ² და 2 მა/სმ². ოქსიდის ზრდის სიჩქარე შესაბამისად იყო 6 ვ/წთ, 11 ვ/წთ და 23 ვ/წთ. თუ ამ სიდიდეებს გადავიყვანთ სისქეებში ისინი გამოიყურება შემდეგნაირად: 5 ნმ/წთ, 6.5 ნმ/წთ და 12 ნმ/წთ შესაბამისად.




ნახ. 3.5 სილიციუმზე HfO_2 -ის ზრდის კინეტიკა $T=673\text{K}$ ტემპერატურაზე.

ნახ.3.6-ზე მოცემულია TiO_2 -ის ზრდის კინეტიკა, 0.5 მა/სმ², 1 მა/სმ² და 2 მა/სმ² ფორმირების დენის სიმკვრივეზე, 673K ტემპერატურაზე. ოქსიდის ზრდის სიჩქარეებია 3,0 ვ/წთ, 6,2 ვ/წთ და 9,5 ვ/წთ.

ნახ.3.7-ზე მოცემულია ZrO_2 -ის ზრდის კინეტიკა, 0.5 მა/სმ²; 1 მა/სმ² და 2 მა/სმ² ფორმირების დენის სიმკვრივეზე, 673K ტემპერატურაზე. ოქსიდის ზრდის სიჩქარეებია 6 ვ/წთ, 10 ვ/წთ და 16 ვ/წთ, რაც შეესაბამება ოქსიდის სისქეებს - 4 ნმ/წთ; 6 ნმ/წთ და 10 ნმ/წთ შესაბამისად.




ნახ. 3.6 Si-TiO₂-ის ზრდის კინეტიკა, T=673K ტემპერატურაზე:
 1- 0.5 მა/სმ²; 2- 1მა/სმ² და 3-2მა/სმ²



ნახ. 3.7 სილიციუმზე ZrO₂ -ის ზრდის კინეტიკა T=420K
 ტემპერატურაზე.


GaAs-ის ანოდირების კინეტიკა T=673K ტემპერატურაზე მოცემულია ნახ. 3.8-ზე. როგორც ნახაზიდან ჩანს, ეს დამოკიდებულება თითქმის წრფივია 0.5მა/სმ²; 1მა/სმ² და

2 მა/სმ² დენის სიმკვრივის ანოდირებისას, საიდანაც შეგვიძლია გამოვთვალოთ, რომ GaAs-ის საუთარი ოქსიდისთვის სისქის ზრდის სიჩქარეებია 4 ვ/წთ; 6.8 ვ/წთ და 10,3 ვ/წთ შესაბამისად.



ნახ. 3.8 GaAs-ის სტიმულირებული დაქანგვის კინეტიკა T=673K ტემპერატურაზე:
1- I_გ=0.5მა/სმ²; 2- I_გ=1მა/სმ² და 3- I_გ=2მა/სმ².

პლაზმური პროცესის დასრულების შემდეგ C-V მახასიათებლების გაზომვების ჩატარებისთვის საჭიროა მდნ-სტრუქტურების ფორმირება, რომელიც წარმოადგენს სისტემას, სადაც ნახევარგამტარის ერთ მხარეს (მუშა მხარეს) ფორმირებულია ოქსიდი, მასზე დაფენილი ალუმინის ფოტოლიტოგრაფიით მიღებული 60მკმ დიამეტრის წერტილების კონტაქტებისთვის, ხოლო მეორე მხარეს ომური კონტაქტით. ამიტომ სტიმულირებული პლაზმური ანოდირების შემდეგ მიღებული სტრუქტურა თავსდება ვაკუუმურ დანადგარ YBH-2M-1-ში ალუმინის კონტაქტების დასაფენად. ალუმინის დაფენა ხორციელდება ვაკუუმში ვოლფრამის რეზისტული ამორთქლებლიდან 10⁻⁶ მმ.ვწყ.სვ. წნევაზე და 373K ტემპერატურაზე. ალუმინის სისუფთავის ხარისხი შეადგენდა 99.999%. ოქსიდების ზედაპირზე ვაკუუმში ეფინებოდა ალუმინის ფირები სისქით 0,5 მკმ. მიღებული სტრუქტურის საბოლოო სახე მოცემულია ნახ.3.9-ზე.



ნახ.3.9 საკვლევი Si-HfO₂-Al სტრუქტურის საბოლოო სახე

დასკვნა

სადისერტაციო თემის კვლევის არსის მიმოხილვის საფუძველზე შეირჩა ოქსიდური ფირების მომზადებისა და მათი პარამეტრების გაზომვის მეთოდები. ამისათვის დამუშავდა:

1) თხელი ფირების ფორმირების ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც ითვალისწინებენ – ა) საფენის ზედაპირის ქიმიურ დამუშავებას და მის თავისებურებებს; ბ) ფოტოლიტოგრაფიული მეთოდების არსს და როლს დასახული მიზნების მისაღწევად და გ) გარდამავალი და საკონტაქტო მეტალური ფირების დაფენის ვაკუუმური ტექნოლოგიური პროცესების დამუშავებას;

2) შემუშავებულია გარდამავალ მეტალთა და გალიუმის არსენიდის ოქსიდური ფირების მიღების დაბალტემპერატურული, სტიმულირებული პლაზმური ანოდირების მეთოდი, პლაზმური ანოდირების პროცესში ულტრაიისფერი სინათლის გამოყენებით;


3) ფორმირებულ იქნა ოქსიდური ფირები სხვადასხვა ტექნოლოგიურ რეჟიმებში, სადაც იცვლებოდა: ფორმირების დენის სიმკვრივე, ნიმუშის ტემპერატურა, სისქე.

4) მიღებული ოქსიდური ფირების პარამეტრების გაზომვის მეთოდები, რომლებიც შეიცავენ – ა) ვოლტ-ფარადულ მახასიათებლებს; ბ) ზედაპირულ პროფილომეტრიას; გ) რენტგენო-დიფრაქციულ მეთოდს და დ) X-სხივების ფოტოელექტრულ სპექტროსკოპიას.

4. ექსპერიმენტული შედეგები და ანალიზი

4.1. ვოლტ-ფარადული (C-V) მახასიათებელი


გარდამავალ მეტალთა ოქსიდური ფირების შესწავლა მოხდა ნახ.3.9-ზე წარმოდგენილი მდნ სტრუქტურაზე ვოლტ-ფარადული მეთოდის გამოყენებით. მდნ სტრუქტურის ტევადობის ცვლილება ხდებოდა ძაბვის ცვლილებით $-5 \div +5$ ვ ძაბვის დიაპაზონში სხვადასხვა სიხშირეებზე. ამისთვის გამოყენებულ იქნა ანალიზატორი „Keithly Instruments Semiconductor Parameter Analyzer“. ნახ. 4.1-ზე მოცემულია ტიტანის ოქსიდისთვის p-ტიპის სილიციუმზე, ალუმინის კონტაქტებით შექმნილი მდნ სტრუქტურის C-V მრუდი, გაზომილი 1 მგჰც სიხშირეზე. ეს სიხშირე მაღალია და როდესაც სტრუქტურაზე მოდებულია უარყოფითი, ანუ გამდიდრების ძაბვა, მაშინ შესაბამის C-V მრუდზე მიიღება მაქსიმუმი. შესაბამისად, მდნ სტრუქტურაზე



ნახ. 4.1 ვოლტ-ფარადული მახასიათებელი p-ტიპის სილიციუმზე პლაზმური ანოდირებით მიღებული TiO_2 -თვის.

უარყოფითი ძაბვებიდან, ნულის გავლით, დადებითი ძაბვევისკენ გადასვლისას ტევადობა მცირდება და მინიმალური მიიღება ინვერსიის ძაბვის დროს.

ნახ.4.2-ზე გამოსახულია *ჰაფნიუმის* ოქსიდისთვის p-ტიპის სილიციუმზე, ალუმინის კონტაქტებით შექმნილი მდნ სტრუქტურის ვოლტ-ფარადული მრუდი,



ნახ. 4.2 HfO₂-ის CV მრუდი 1მა/სმ² ანოდირების დენის სიმკვრივისთვის


გაზომილი 1მა/სმ² ანოდირების დენის სიმკვრივეზე, სხვადასხვა სიხშირეებზე. ნახაზიდან ჩანს, რომ გაზომვის სიხშირის ცვლილება პრაქტიკულად არ ცვლის პარამეტრების გაზომვის შედეგებს. ამ 1მგჰც სიხშირეზე მიღებული მრუდიდან გაზომილი HfO₂-ის პარამეტრები მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1. ნახაზი 4.2-დან მიღებული პარამეტრები

სიხშირე, კჰც	200	500	1000	200	500	1000	200	500	1000
ანოდირების დენის სიმკვრ., მა/სმ ²	0.5			1			2		
კონტაქტის ფართობი (სმ ²)	6·10 ⁻⁶	6·10 ⁻⁶	6·10 ⁻⁶	6·10 ⁻⁶	6·10 ⁻⁶	6·10 ⁻⁶	6·10 ⁻⁶	6·10 ⁻⁶	6·10 ⁻⁶
დიელექტრიკის სისქე (ანგსტრემი)	45	45	45	52	52	52	30	30	30
ტევადობა (ფარადი/სმ ²)	2.18	2.17	1.73	1.76	1.76	1.76	1.64	1.63	1.63
აბსოლუტური შედ. (ფარადი/სმ ²)	163.5	162.75	129.75	152.5	152.5	152.5	82	81,15	81,15
საშუალო მუდმივა	18.47	18.38	14.66	17.23	17.23	17.23	9,26	9,2	9,2

ნახ.4.3-ზე მოცემულია C-V მრუდების შედარება HfO₂-ისთვის 1 მგჰც სიხშირეზე, სხვადასხვა ანოდირების დენის სიმკვრივეებზე. როგორც ნახაზიდან ჩანს, მრუდები წანაცვლებული არიან ნულიდან უარყოფითი ძაბვებისკენ და ამიტომ დიელექტრიკში არსებობს დადებითი მუხტი. გრაფიკები, რომლებიც შეესაბამებიან 0.5 მა/სმ² და 2 მა/სმ² ანოდირების დენის სიმკვრივეებს არიან უფრო მეტად წანაცვლებული უარყოფითი პოტენციალისკენ, ვიდრე 1 მა/სმ² ანოდირების დენის


სიმკვრივის შესაბამისი მრუდი. ამიტომ მათში არსებობს დადებითი მუხტი უფრო მეტი, ვიდრე 1 მა/სმ² ანოდების დენის სიმკვრივის შემთხვევაში.



ნახ. 4.3 CV მრუდი სხვადასხვა ანოდირების დენის სიმკვრივისთვის 1მგჰც სიხშირეზე

ცხრილი 2. HfO₂ -ის CV გაზომვებიდან მიღებული პარამეტრები 1მგჰც სიხშირეზე

ანოდირების დენის სიმკვრივე, მა/სმ ²	$\frac{Q_{an}}{Z_{an}}$, (პვ)	$\frac{Q_{cat}}{Z_{an}}$, (ვ)	$\frac{Q_{an}}{Z_{an}}$, (ვ)	$\frac{Q_{cat}}{Z_{an}}$, (ვ)	$\frac{Q_{an}}{Z_{an}}$, (ნვ)	$\frac{Q_{cat}}{Z_{an}}$, (პვ)	$\frac{Q_{an}}{Z_{an}} \times 10^{10}$ (სმ ²)
0.5	2.16	-24.9	-2.24	-0.696	4.1	0.98	2.5
1	1.75	-13.6	6.92	-0.682	2.2	0.98	1.4
2	1.61	-26.9	-9.61	-0.670	5.0	0.96	3.1




ნახ. 4.4 Si-HfO₂-Al (1) და Si-TiO₂-Al (2) სტრუქტურების ნორმირებული

ვოლტ-ფარადული მახასიათებლები, 1მა/სმ^2 ფორმირების დენსა და 1მგ/ჰმ^2 სიხშირეზე

ნახ.4.4-ზე წარმოდგენილია p-ტიპის სილიციუმის ქვესაფენზე $\text{HfO}_2\text{-Al}$ (ნახ.4.4-1) და $\text{TiO}_2\text{-Al}$ (ნახ.4.4-2) სტრუქტურების ნორმირებული ვოლტ-ფარადული (C-V) მრუდების შედარება. შედარებებიდან ჩანს, რომ მათ შორის სწორი ზონების ძაბვათა სხვაობა $\Delta V=10$ ვოლტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰაფნიუმის ოქსიდში ნაკლები დადებითი მუხტია, ვიდრე ტიტანის ოქსიდში.

ნახ.4.5-ზე მოცემულია ZrO_2 -ის, რომლის მიღების ტექნოლოგია მსგავსია HfO_2 -ის მიღების ტექნოლოგიასთან, ბაზაზე შექმნილი $\text{Si(p)-ZrO}_2\text{-Al}$ სტრუქტურის ვოლტ-




ნახ. 4.5 $\text{Si-ZrO}_2\text{-Al}$ სტრუქტურის ნორმირებული C-V მახასიათებლები გადაღებული სხვადასხვა სიხშირეებზე და 0.5მა/სმ^2

ცხრილი 3. ZrO_2 -ის CV გაზომვებიდან მიღებული პარამეტრები (ნახ.4.5)

ანოდირების დენის სიმკვრივე, მა/სმ^2	$\frac{C_{\text{ox}}}{C_{\text{ox}} + C_{\text{it}}}$, (პფ)	$\frac{C_{\text{ox}}}{C_{\text{ox}} + C_{\text{it}}}$, (ვ)	$\frac{C_{\text{ox}}}{C_{\text{ox}} + C_{\text{it}}}$, (ვ)	$\frac{C_{\text{ox}}}{C_{\text{ox}} + C_{\text{it}}}$, (ვ)	$\frac{C_{\text{ox}}}{C_{\text{ox}} + C_{\text{it}}}$, (ნკ)	$\frac{C_{\text{ox}}}{C_{\text{ox}} + C_{\text{it}}}$, (პფ)	$\frac{C_{\text{ox}}}{C_{\text{ox}} + C_{\text{it}}}$, $\times 10^{10}$ (სმ^2)
0.5	1.12	-14.9	-2.13	-0.676	3.8	0.97	2.7
1	1.22	-12.6	5.62	-0.662	2.5	0.98	1.3
2	1.64	-22.3	-10.71	-0.690	6.2	0.96	3.3

ფარადული მახასიათებლები გადაღებული სხვადასხვა სიხშირეებზე 0.5მა/სმ^2 ანოდირების დენის სიმკვრივისას. ნახ.4.5-დან ჩანს, რომ გაზომვის სიხშირის ცვლილება პრაქტიკულად არ ცვლის პარამეტრების გაზომვის შედეგებს, ისე როგორც იყო HfO_2 -ის შემთხვევაში. აქაც დაიმზირება დიელექტრიკში დადებითი მუხტის

არსებობა. ZrO_2 -ის C-V მახასიათებლიდან (ნახ.4.5) გაზომილი პარამეტრები მოცემულია ცხრილში 3.




ნახ. 4.6 Si-ZrO₂-Al სტრუქტურის ნორმირებული C-V მახასიათებლები გადაღებული სხვადასხვა ანოდირების დენის სიმკვრივისთვის, 1მგპც სიხშირეზე

ცხრილში 4. მოცემულია ZrO_2 -ის პარამეტრები, რომლებიც მიღებულია ნახ.4.6-დან


სიხშირე, კპც	200	500	1000	200	500	1000	200	500	1000
ანოდირების დენის სიმკვრ., მკ/სმ ²	0.5			1			2		
კონტაქტის ფართობი (მკმ ²)	6·10 ⁻⁶	6·10 ⁻⁶	6·10 ⁻⁶	6·10 ⁻⁶	6·10 ⁻⁶	6·10 ⁻⁶	6·10 ⁻⁶	6·10 ⁻⁶	6·10 ⁻⁶
დიელექტრიკის სისქე (ნმ)	60	60	60	55	55	55	35	35	35
ტევადობა (ფ/სმ ²)	1,12	1,15	0,95	1,22	1,27	1,25	1,64	1,68	1,59
აბსოლუტური შედ. (ფ/სმ ²)·10 ¹⁴	11.95	115.05	94.96	111.78	116.38	114.5	95.58	97.97	92.75
საშუალო მუდმივა	12.65	13.0	10.73	12.63	13.15	12,94	10.8	11.07	10.48

ნახ.4.7-ზე წარმოდგენილია p-ტიპის სილიციუმის ქვესაფენზე - ZrO_2 -Al (ნახ.10,1) და HfO_2 -Al (ნახ.10,2) სტრუქტურების ნორმირებული ვოლტ-ფარადული (C-V) მრუდების შედარება. მათი შედარებებიდან ჩანს, რომ ჰაფნიუმის ოქსიდში ნაკლები დადებითი მუხტია, ვიდრე ცირკონიუმის ოქსიდში.



ნახ. 4.7 Si- ZrO₂-Al (1) და Si-HfO₂-Al სტრუქტურების ნორმირებული ვოლტ-ფარადული მახასიათებლები, 2,0 მა/სმ² ფორმირების დენის დროს

ნახ.4.8-ზე მოცემულია ჰაფნიუმის ოქსიდისთვის გაჭონვის დენის დამოკიდებულება ძაბვის სიდიდეზე. ნახაზიდან ჩანს, რომ ±20 ვოლტის




ნახ. 4.8 HfO₂-სთვის გაჭონვის დენის დამოკიდებულება გამრღვევ ძაბვაზე.

ფარგლებში ოქსიდის გარღვევა არ შეიმჩნევა, რაც მიუთითებს იმას, რომ გარღვევის დამაბულობა $E > 5 \cdot 10^8$ ვ/სმ.

ნახაზების 4.4-ის, 4.7-ს და 4.8-ის შედარებიდან გამომდინარეობს, რომ იმს-ის ელემენტის ველის ტრანზისტორის შექმნა უნდა მოხდეს ჩამკეტქვეშა დიელექტრიკად HfO₂-ის გამოყენებით.

ნახ.4.9–ზე წარმოდგენილია GaAs–ის საკუთარი ოქსიდის (სკოქს)–ალუმინის სტრუქტურის ნორმირებული ვოლტ–ფარადული მახასიათებლები. ნახაზიდან ჩანს, რომ C–V მახასიათებლებზე დაიმზირება უარყოფით ძაბვების არეში ჰისტერეზისი, რაც მიუთითებს GaAs–ის საკუთარ ოქსიდში დადებითი მოძრავი მუხტის არსებობას.

ამ მრუდებიდან განისაზღვრა, თეორიული ნომოგრამის საშუალებით, ბრტყელი ზონების შესაბამისი ძაბვები და ინვერსიის ძაბვები. შესაბამისად, განისაზღვრა მუხტი ოქსიდში (Q_d) და გამყოფ საზღვარზე ოქსიდი–ნახევარგამტარი მუხტის მდგომარეობათა სიმკვრივეები (N_{ss}), ხოლო მაქსიმალური ტევადობისგან დიელექტრიკული მუდმივა (V).




ნახ. 4.9 GaAs–ის სკოქს–ალუმინის სტრუქტურის ნორმირებული ვოლტ–ფარადული მახასიათებელი.

ცხრილი 5. მიღებული GaAs სკ ოქსიდის ფირების პარამეტრები, განსაზღვრული C–V მახასიათებლებიდან

#	პარამეტრები	GaAs სკ ოქს
1.	სისქე d (ნმ)	30
2.	მუხტი ოქსიდში $Q_{ss}, \text{სმ}^{-2} \times 10^{11}$	12
3.	ზედაპ.მდგ–თა სიმკვრივე $N_{ss}, \text{სმ}^{-2} \cdot \text{ეგ}^{-1} \times 10^{11}$	3
4.	დიელექტრიკული მუდმივა V	7,0
5.	გარღვევის დამაბულობა $E, \text{ვ/სმ} \times 10^6$	3

ნახ.4.10–ზე ნაჩვენებია დამოკიდებულება ზედაპირული მდგომარეობათა სიმკვრივის, ოქსიდში მუხტსა და ანოდირების დენის სიმკვრივეს შორის. კარგად ჩანს ნახაზიდან, რომ მინიმალური ზედაპირული მდგომარეობები და მუხტი



ნახ. 4.10 დამოკიდებულება ზედაპირული მდგომარეობათა სიმკვრივის (1), ოქსიდში მუხტსა(2) და ანოდირების დენის სიმკვრივეს შორის


ოქსიდში მიიღწევა ანოდირების დენის სიმკვრივის $\sim 1.5 \text{ mA}/\text{cm}^2$ მნიშვნელობისას, რომელიც ოპტიმალური პარამეტრია სტიმულირებული პლაზმური ანოდირებისთვის.

4.2. ზედაპირული პროფილომეტრია


ზედაპირული პროფილომეტრით შესაძლებელია გაიზომოს, როგორც ოქსიდური ფირფიტის რელიეფის ხორკლიანობა – ზედაპირზე მაქსიმალურ სიღრმესა და მაქსიმალურ სიმაღლეს შორის სხვაობა (Ra), არამედ საფენზე დაფენილი ფირის სისქეც. ამ უკანასკნელის განსაზღვრისთვის საჭიროა მოიწამვოს ფირი საფეხურის სახით და სხვაობა Ra უშუალოდ გვიჩვენებს სისქეს.

პროფილომეტრზე ექსპერიმენტულად განისაზღვრა ოქსიდების სისქეები. ოქსიდის ზედაპირები იფარება ფოტორეზისტით, ფოტოლიტოგრაფიისა და Ar^+ იონური ბომბარდირებით ზედაპირის ფოტორეზისტით დაუფარავი ნაწილი იწამვლება. იხსნება ფოტორეზისტი და იზომება ორ ზედაპირს შორის სხვაობა, ანუ

სიღრმე, რაც ოქსიდის სისქის ტოლფასია. ნახაზ 4.11ა–ზე მოცემულია HfO₂ ოქსიდის სისქის, ხოლო ნახ.4.11ბ–ზე ხორკლიანობის განსაზღვრა.



ა)




ბ)


ნახ. 4.11 პროფილომეტრზე HfO₂ ოქსიდის სისქის (ა) და ხორკლიანობის (ბ) განსაზღვრა

ნახ.4.11-დან მიღებული ოქსიდების სისქეების გაზომვებმა აჩვენა, რომ სისქე შეადგენს 85 ნმ–ს და ხორკლიანობა 3.5 ნმ–ს.

ნახ.4.12–ზე მოცემულია TiO₂ ოქსიდის სისქის (ა) და ხორკლიანობის (ბ) განსაზღვრა, რომლებიც შეადგენენ 83ნმ და 3.46მ–ს.




ა)




ბ)

ნახ. 4.12 პროფილომეტრზე TiO_2 ოქსიდის სისქის (ა) და ხორკლიანობის (ბ) განსაზღვრა



ნახ.4.13–ზე მოცემულია ZrO_2 ოქსიდის სისქის (ა) და ხორკლიანობის (ბ) განსაზღვრა, რომლებიც შეადგენენ 82 ნმ და 2.55მ–ს.



ა)



ნახ. 4.13 პროფილომეტრზე ZrO_2 ოქსიდის სისქის (ა) და ხორკლიანობის (ბ) განსაზღვრა




ნახ. 4.14 $xGa_2O_3 + yAs_2O_3$ და $GaAs$ გამყოფი საზღვრით (ა) და $xGa_2O_3 + yAs_2O_3$ (ბ) ზედაპირების პროფილები

ნახ.4.14-ზე მოცემულია $(x\text{Ga}_2\text{O}_3+y\text{As}_2\text{O}_3)\text{-GsAs}$ გამყოფი საზღვრისა (ა) და $x\text{Ga}_2\text{O}_3+y\text{As}_2\text{O}_3$ (ბ) ზედაპირების პროფილები. $x\text{Ga}_2\text{O}_3+y\text{As}_2\text{O}_3$ ზედაპირის მოხსნისას ხდებოდა ფოტორეზისტის კიდების თანდათანობით მოხსნაც, ამიტომაც გამყოფი საზღვარი $(x\text{Ga}_2\text{O}_3+y\text{As}_2\text{O}_3)\text{-GsAs}$ დამრეცია, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ სისქე შეადგენს 49,15ნმ-ს, ხოლო ხორკლიანობა 0.9Å.

4.3. რენტგენო-სრუქტურული ანალიზი


ნახ.4.15-ზე ნაჩვენებია TiO_2 -სთვის X-სხივების დიფრაქციული სურათი $\text{CuK}\alpha$ გამოსხივების წყაროს შემთხვევაში. როგორც ნახაზიდან ჩანს, TiO_2 -ს კრისტალური სისტემა არის ტეტრაგონალური. (011), (004), (020), (015) და (121) დიფრაქციული პიკები გამოირჩევიან მაღალი ინტენსივობით. კრისტალოგრაფიული პარამეტრებია: $a(\text{Å})=3.7960$; $b(\text{Å}) = 3.7960$; $c(\text{Å}) = 9.4440$. გამოთვლილია სიმკვრივე ტოლია 3,9გ/სმ³.



ნახ. 4.15 TiO_2 -სთვის ინტენსივობის დამოკიდებულება 2θ -ზე

მინერალის სახელი არის ანათაიზი ნანოკრისტალური, რომელიც მიუთითებს ან დაბალი კრისტალურობის ხარისხზე ან მის კრისტალურობაზე, მაგრამ მცირე ზომის კრისტალური ჩანართებით.


ნახ.4.16-ზე მოცემულია რენტგენოსტრუქტურული ანალიზი HfO₂-თვის. ამ ნახაზზე რამდენიმე პიკი შეესაბამება HfO₂ -ს. გაზომვები მიმდინარეობდა X-სხივების დიფრაქტომეტრზე „DRON-4-07“ შემდეგ რეჟიმებში: ამაჩქარებელი ძაბვა - 12კვ, დენი - 15მა, რადიაციის წყარო CoKα₁ ტალღის სიგრძით λ=1.7889Å, ჩაწერის სიჩქარე 2გრად/წთ-ში.



ნახ. 4.16 Si-ზე HfO₂-ის რენტგენოსტრუქტურული ანალიზი

4.4. X-სხივების ფოტოელექტრონული სპექტროსკოპია

HfO₂-ის ქიმიური შედგენილობის ანალიზისთვის ჩატარდა X-სხივების ფოტოელექტრონული სპექტროსკოპია, მონოქრომატული Al Kα წყაროთი (hν=1486.71eV). ნახ.4.17-ზე წარმოდგენილია ჰაფნიუმის ოქსიდური ფირის ზედაპირული სპექტრი, რომელზედაც ნათლად ჩანს Hf-ის, O-ის, Ar-ის და C-ის ხაზები. ამათგან Hf-ს და O-ს აქვთ მაღალი აქტივობის სპექტრი, ხოლო Ar და C ძირითადად ლოკალიზირებულნი არიან ზედაპირზე და მათი კონცენტრაციები მკვეთრად ეცემიან 1 წუთიანი იონური მოწამვლის შემდეგ. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ზედაპირზე მათი მოხვედრა მოხდა ფორმირების პროცესის დამთავრების შემდეგ ატმოსფეროსთან კონტაქტისას.




ნახ. 4.17 HfO₂-ის X -სხივების ფოტოელექტრონული სპექტროსკოპია

X -სხივების ფოტოელექტრონული სპექტროსკოპიის პარამეტრებია: მთლიანი ანალიზის დრო 2 წთ და 16.1 წმ, წყარო Al K α , წერტილის ზომა 400 მკმ, ენერგია 200.0 ევ, ენერგიის ბიჯი 1.000 ევ, მოწამვლის დრო = 150.008წმ. სპექტროსკოპიის შედეგები ასახულია ცხრილში 6.

ცხრილი 6. HfO₂-ის ფოტოელექტრონული სპექტროსკოპიის გაზომვებიდან მიღებული პარამეტრები

Name	Peak BE	Height CPS	Area (P) CPS.eV	Area (N) KE ^{0.6}	At. %	PP CPS	Height (N)	Hgt	PP At. %
Hf4f	17.38	574259.46	2682245.15	4487.6	32.83	627787.59	105.03		27.85
O1s	530.85	360648.87	1304527.34	7250.31	53.04	411596.39	228.76		60.67
Ar2p	242.42	22527.67	158791.68	726.12	5.31	37216.81	17.02		4.51
C1s	281.87	12553.57	85136.43	1206.6	8.83	18537.64	26.27		6.97

ZrO₂-ის ქიმიური შედგენილობის ანალიზისთვის ჩატარდა X -სხივების ფოტოელექტრონული სპექტროსკოპია. X -სხივების ფოტოელექტრონული სპექტროსკოპიის პარამეტრებია: მთლიანი ანალიზის დრო 2 წთ და 16.1 წმ, წყარო Al K α , წერტილის ზომა 400 მკმ, ენერგია 200.0 ევ, ენერგიის ბიჯი 1.000 ევ,



ნახ. 4.18 ZrO₂-ისთვის X -სხივების ფოტოელექტრონული სპექტროსკოპია


სპექტროსკოპიის შედეგები ასახულია მე-7 ცხრილში.

ცხრილი 7. ZrO₂-ის ფოტოელექტრონული სპექტროსკოპიის გაზომვებიდან მიღებული პარამეტრები

Name	Peak BE	Height CPS	Area CPS.eV	(P) Area KE ^{0.6}	(N) At. %	PP CPS	Height (N)	PP Hgt (N)	PP At. %
Zr3d	183.4	196502.26	870729.5	1672.2	11.63	214680.34	41.23	11.03	
O1s	531.36	227196.54	1023223.71	5688.7	39.57	224102.15	124.59	33.33	
C1s	285.26	128887.69	494161.36	7015.39	48.8	146499.89	207.98	55.64	

ნახ.4.18–ზე მოცემულია ZrO₂ ფირის ზედაპირული გაშლილი სპექტრი, რომელზედაც ნათლად ჩანს Zr-ის, O-ის და C-ის ხაზები. C-ს ზედაპირზე მოხვედრა უნდა მომხდარიყო ფორმირების პროცესის დამთავრების შემდეგ, ატმოსფეროსთან კონტაქტისას, რადგან ნიმუშის 1 წუთიანი იონური მოწამვლის შემდეგ მისი კონცენტრაცია მკვეთრად დაეცა.

TiO₂-ის გარდატეხის მაჩვენებელი და ოქსიდის სისქე გამოკვლეულ იქნა სპექტროსკოპული ელიფსომეტრით, მიღებული შედეგები მოცემილია ნახ.4.19–ზე.




ნახ. 4.19 TiO₂ –ის გარდატეხის მაჩვენებელი

ხილული სინათლის დიაპაზონში (~550ნმ) გარდატეხის მაჩვენებელი არის 2,25. ოპტიკური დიელექტრიკული მუდმივა შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: $\epsilon = n^2 = 2.25^2 = 5.4289$. გამოთვლილი აკრძალული ზონის სიდიდე აღმოჩნდა 3,3ევ, რომლისათვისაც გამოყენებულ იქნა ტოლობა:


$$E(\text{eV}) = \frac{hc}{\lambda} = \frac{1240}{\lambda} \quad (4.1)$$

სადაც, E არის ფოტონის ენერგია, h-პლანკის მუდმივა. c-სინათლის სიჩქარე, λ – ტალღის სიგრძე მიღებული სპექტროფოტომეტრული გაზომვიდან და უდრის $\lambda=375\text{ნმ}$ -ს.

ნახ.4.20–ზე მოცემულია $x\text{Ga}_2\text{O}_3+y\text{As}_2\text{O}_3$ -ის X -სხივების ფოტოელექტრონული სპექტროსკოპიის მრუდები. მოხდა As და Ga სპექტრების განცალკევება და მიღებული მონაცემების As₂O₃ (ა) და Ga₂O₃ (ბ)–ს სპექტრები განსაზღვრავს იმას, რომ GaAs-ის საკუთარი ჟანგში Ga-ის და As-ის სპექტრები წანაცვლებულია GaAs-ის სპექტრისკენ, რომელიც ამტკიცებს ორივე ჟანგის As₂O₃ და Ga₂O₃ მასში არსებობას.




ა)



ბ)

ნახ. 4.20 $x\text{Ga}_2\text{O}_3 + y\text{As}_2\text{O}_3$ -ის X-სხივების ფოტოელექტრონული სპექტროსკოპიის მრუდები

ნახ.4.21–ზე მოცემულია GaAs-ის პლაზმური ანოდირების შემდეგ ელემენტების (1-O; 2-Ga; 3-As) განაწილების პროფილი (ოჟე-სპექტროსკოპია). ოქსიდის სიღრმეში, მისი ულტრა იისფერი სინათლით სტიმულაციისა და მის გარეშე მიღების შემდეგ. ფირის სისქის კონტროლირებადი მოწამვლა ხდებოდა მის Ar+ იონების დასხივებით, ენერგიით 3კევ, 30მკა/სმ² დენის სიმკვრივით, რაც იძლეოდა ოქსიდის ფირის ~2,8 ნმ/წთ სიჩქარით მოხსნას. როგორც ნახაზიდან ჩანს, პლაზმის სტიმულაციის გარეშე ფორმირებულ ოქსიდში ელემენტების არათანაბარი განაწილებაა – ჟანგბადის სიჭარბეა, ანუ ოქსიდი არასრულია. ხოლო უი სინათლით სტიმულირებული პლაზმური ანოდირებით მიღებულ ოქსიდში მოხდა კომპონენტთა გადანაწილება.



ნახ. 4.21 GaAs-ის პლაზმური ანოდირების შემდეგ ელემენტების (1-O; 2-Ga; 3-As) განაწილების პროფილი (ოჟე-სპექტროსკოპია). (---- სტიმულაციის გარეშე; — უი სტიმულაციით)

კერძოდ, შემცირებულია O და გაზრდილია Ga, ისე, რომ თითქმის არ შეიცვალა As. სავარაუდოდ, Ga სრულად დაიჟანგა, რამაც გამოიწვია ოქსიდში ელემენტთა თანაბარი განაწილება. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ უი სინათლე, პროცესის დაჩქარებასთან ერთად აუმჯობესებს ოქსიდის პარამეტრებს.

დასკვნა

1. მიღებული გარდამავალ მეტალთა და გალიუმის არსენიდის ოქსიდური ფირების ვოლტ-ფარადულმა გაზომვებმა აჩვენა, რომ ყველა ოქსიდურ ფირებში არის დადებითი მუხტი, მათ შორის ყველაზე ნაკლები მუხტი არის ჰაფნიუმის ოქსიდში;
2. ზედაპირული პროფილომეტრიის გაზომვებმა ცხადყო, რომ ყველა მიღებული ოქსიდური ფირების რელიეფი გამოირჩევა საკმაოდ დიდი სიგლუვით (ხაოიანობა $10 \div 35 \text{ \AA}$);
3. რენტგენო სტრუქტურულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მიღებული ოქსიდური ფირებიდან ჰაფნიუმის და ტიტანის ოქსიდები გამოირჩევიან პოლიკრისტალური ბუნებით, ხოლო ცირკონიუმის და გალიუმის არსენიდის ოქსიდები არიან რენტგენულად ამორფული;
4. რენტგენული ფოტოელექტრონული სპექტროსკოპიით ნაჩვენები იქნა მიღებული ოქსიდების ქიმიური შედგენილობა და ელემენტებს შორის თანაფარდობა;

4.5. იზოლირებულ ჩამკეტიანი ველის ტრანზისტორის მიღება და პარამეტრები

4.5.1. მეტალ-დიელექტრიკ-ნახევარგამტარ ველის ტრანზისტორი

ზემოთ განხილული გარდამავალ მეტალთა ოქსიდური ფირების ფორმირების ტექნოლოგიური პროცესებისა და მათი ელექტრო-ფიზიკური, დიელექტრიკული და ოპტიკური პარამეტრების შესწავლამ აჩვენა, რომ მათ შორის საუკეთესოა ჰაფნიუმის ოქსიდური ფირები. ამიტომ საინტერესო და აუცილებელიცაა მის საფუძველზე, როგორც ჩამკეტქვემა დიელექტრიკზე აიგოს იმს-ის აქტიური ელემენტი ველის ტრანზისტორი [122-147].

დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა შეიქმნას ველის ტრანზისტორის დამზადების ტექნოლოგიური მარშრუტი, რომელიც მოიცავს: 1) საფენის მასალის შერჩევას, 2) მისი ზედაპირის ქიმიურ გასუფთავებას, 3) პასიური დიელექტრიკის ტიპის და პარამეტრების შერჩევას, 4) ფოტორეზისტის ტიპის და სახის შერჩევას, 5) გამომდენ-ჩამდენ, არხის ზომების შერჩევას, 6) ტოპოლოგიის შექმნას, 7) ფოტომაბლონის დამზადებას და 8) მიღებული ველის ტრანზისტორის პარამეტრების გაზომვას.


სილიციუმის ქვესაფენის მომზადება. ველის ტრანზისტორის (ვტ) ქვესაფენად გამოყენებულ იყო n-ტიპის სილიციუმის ფირფიტები სისქით ~300მკმ, დიამეტრით 50მმ და ზედაპირის ორიენტაციით [100]. მაღალ ხარისხიანი ოქსიდური ფირების მიღებისთვის საჭიროა სილიციუმის ზედაპირის მაღალი სისუფთავე. ამიტომ პასიური დიელექტრიკული ფირების გაზრდამდე ჩატარებულ იქნა ზედაპირის ქიმიური დამუშავება ორ სტადიად:

I - სტადია - მოწამვლა 5 წუთის განმავლობაში $H_2O_2:H_2SO_4=1500:350$ (მლ) ხსნარში, სამჯერადი გარეცხვა დეიონიზირებულ წყალში 5 -5 წუთი;

II - სტადია - მოწამვლა 10 წუთის განმავლობაში $H_2O_2:H_2O:NH_4OH=200:400:400$ (მლ) ხსნარში, სამჯერადი გარეცხვა დეიონიზირებულ წყალში 5 -5 წუთი.

სილიციუმის ქვესაფენის ზედაპირის ასეთი ქიმიური დამუშავების შემდეგ ფირფიტები შრებოდნენ ცენტროფუგაზე 3-3 წუთის გამწავლობაში. შემდეგ ხდებოდა ზედაპირების ვიზუალური კონტროლი MFC-10 მიკროსკოპით.

დამზადების ტექნოლოგიის მარშრუტი მოცემულია ნახ. 4.22-ზე.



ნახ. 4.22 ერთარხიანი ველის ტრანზისტორის მიღების ტექნოლოგიური მარშრუტის სქემა: 1-გამომდენი; 2-ჩამდენი და 3- ჩამკვეტი.


ა) *პასიურ დიელექტრიკად შეირჩა სილიციუმის თერმული ჟანგი.* ამისთვის სილიციუმის თერმული დაჟანგვა ჩატარდა ADC-100 ელექტრულ ღუმელში 1100°C-ზე, 75 წუთის განმავლობაში. რის შემდეგ სილიციუმის ჟანგის სისქემ შეადგინა 0.55 ± 0.05 მკმ (ნახ.4.22ა).

ბ) *გამომდენ და ჩამდენ არეში დიფუზიები.* სილიციუმის ზედაპირზე თერმულად მიღებულ ჟანგში ჩატარდა პირველი ფოტოლიტოგრაფია, რომლის შედეგად გაიხსნა ფანჯრები გამომდენისა და ჩამდენისათვის შემდგომი დიფუზიის ჩასატარებლად. (ნახ.4.22ბ). კერძოდ, ამ ფანჯრებში ხდებოდა p-ტიპის არეების ფორმირება ბორის მინარევული ატომების იონური ლეგირებით, ენერგიით 115 კევ, დოზით 10^{17} სმ⁻³.

გ) *ჩამკვეტქვეშა დიელექტრიკის ფორმირება.* მე-2 ფოტოლიტოგრაფიის შემდეგ მოიხსნა ჟანგი გამომდენსა და ჩამდენს შორის. ზემოთ აღნიშნული პროცესით მოხდა ოქსიდ HfO₂-ის ფორმირება, რის შემდეგ ჩატარდა მე-3 ფოტოლიტოგრაფია, დარჩა

ჩამკეტქვეშა ჟანგი გამომდენსა და ჩამდენს შორის (ნახ.4.22დ). მიღებულ სტრუქტურაზე დაეფინა ვაკუუმურ-რეზისტული მეთოდით Al-ის ფირი, სისქით ~1მკმ და ჩატარდა მე-4 ფოტოლიტოგრაფია მეტალიზაციისთვის და მივიღეთ ნახ.4.22ე-ზე გამოსახული საბოლოო სახე.

ნახ.4.23-ზე გამოსახულია ერთჩამკეტთან ველის ტრანზისტორის ტოპოლოგიური სურათი.



ნახ. 4.23 ერთჩამკეტთან ველის ტრანზისტორის ტოპოლოგიური სურათი.

დ) *სტატიკური პარამეტრების განსაზღვრა.* მიღებული ველის ტრანზისტორის სტატიკური გამოსავალი პარამეტრები განისაზღვრა ხელსაწყო *IL2-56*-ზე გაზომილი ვოლტ-ამპერული მახასიათებლიდან. ტიპური ასეთი მახასიათებლები მოყვანილია ნახ.4.24-ზე.

მიღებულია ასეთი მარშრუტით ველის მდნ-ტრანზისტორი, რომელშიც არხის სიგრძე $L=3$ მკმ-ია და სიგანე $W= 42$ მკმ. მისი ვოლტ-ამპერული მახასიათებელი (ვამ) მოცემულია ნახ.4.24-ზე



ნახ. 4.24 ერთარხიანი ველის ტრანზისტორის ვოლტ-ამპერული მახასიათებელი


ამ მახასიათებლებიდან განისაზღვრა სტატიკური პარამეტრები: დახრილობა გაჯერების უბანში $S=1,7\pm 0,02$ მსიმ; გაძლიერების კოეფიციენტი $\sim =0,63$ და არხის შინაგანი წინაღობა $r_i=360\pm 0,01$ ომი.

4.5.2. ორჩამკეტიანი ველის ტრანზისტორი

ორჩამკეტიანმა ველითმა ტრანზისტორმა (ოვტ) - ველითმა ტეტროდმა - ფართო გავრცელება მოიპოვა მაღალსიხშირულ (მს) და ზემაღალსიხშირულ (ზმს) გაძლიერების სქემებში. ოვტ-ში ჩამკეტები მოთავსებულია გამომდენსა და ჩამდენს შორის. ორი ჩამკეტის გამოყენება, რომლებსაც დამოუკიდებლად შეუძლიათ არხის სისქის შეცვლა და შესაბამისად, ახდენენ მათში დენის მატარებლების ნაკადის რეგულირებას, საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გააფართოვოს ველის ტრანზისტორის ფუნქციონალური შესაძლებლობები. გამაძლიერებლების შექმნაში ოვტ-ის კონსტრუქციულმა სახემ მისცა მას უპირატესობები სხვა ტიპის ტრანზისტორებთან შედარებით. ოვტ გამოიყენებიან მაღალსიხშირულ გამაძლიერებლებში (აქვთ სიმძლავრის უფრო დიდი გაძლიერების კოეფიციენტი, ვიდრე ერთჩამკეტიან ველის ტრანზისტორებს), სიხშირის გარდამქმნელებში


(შემრევებში, სიხშირეთა გამრავლებისა და დაყოფის ფუნქციის რეალიზაციისთვის), მკვეთრად ზრდიან ინტეგრაციის ხარისხს და ა.შ.

მსავსად ერთჩამკეტიანი ველის ტრანზისტორისა შეიქმნა ორარხიანი ველის ტრანზისტორის ტექნოლოგიური მარშრუტი, რომელშიც არხის სიგრძე $L=3\text{მკმ}$ -ია. იგი სქემატურად გამოსახულია ნახ.4.25-ზე და ჩამკეტქვეშა დიელექტრიკია HfO_2 , მიღებული ზემოთაღნიშნული ტექნოლოგიით.




ნახ. 4.25 ორჩამკეტიანი ველის ტრანზისტორის მიღების ტექნოლოგიური მარშრუტის სქემა. 1-ქვესაფენი; 2-გამომდენი; 3-ჩამკეტი I; 4-ჩამკეტი II; 5-ჩამდენი.

მიღებულია ასეთი მარშრუტით ორარხიანი ველის მდნ-ტრანზისტორი, რომლის ტოპოლოგიური სურათი მოცემულია ნახ.4.26-ზე.



ნახ. 4.26 ორჩამკვეტიანი ველის ტრანზისტორის ტოპოლოგიური სურათი.

მიღებული ორჩამკვეტიანი ველის ტრანზისტორის სტატიკური გამოსავალი პარამეტრები განისაზღვრა ხელსაწყო $\Pi 2-56$ -ზე გაზომილი ვოლტ-ამპერული მახასიათებლიდან. ტიპური ასეთი მახასიათებლები მოყვანილია ნახ.4.27-ზე. ამ მახასიათებლების საფუძველზე ექსპერიმენტულად განისაზღვრა ისეთი სტატიკური პარამეტრები, როგორცაა დახრილობა გაჯერების უბანში S , გაძლიერების კოეფიციენტი \sim და არხის შინაგანი წინააღობა r_i . როცა მეორე ჩამკვეტზე დაბვა იყო +10ვ, ხოლო პირველზე იყო 6ვ ბიჯით 1ვ, მაშინ: $S = 2,5 \pm 0,02$ მსიმ; $\sim = 0,75$ და $r_i = 710 \pm 0,01$ ომი.



ნახ. 4.27 ორჩამკვეტიანი ველის ტრანზისტორის ვოლტ-ამპერული მახასიათებლები, როცა დაბვა მეორე ჩამკვეტზე +6 ვოლტია.

4.6. სტიმულირებული პლაზმური ანოდირების ფიზიკური მექანიზმი

პლაზმური ანოდირების პროცესი მიმდინარეობს დასაყანგ ნიმუშზე, პლაზმის მიმართ, დადებითი ძაბვის მოდებისას, რითაც ხდება პლაზმიდან ამოქაჩული ჟანგბადის უარყოფითი იონების (ანიონების) მიგრაცია მზარდ ოქსიდში. საფენში ანიონებისა და კათიონების ურთიერთ მიგრაცია ქმნის საფენის მხრიდან ოქსიდის ფირის სისქის გაზრდას. ოქსიდის ფორმირების დენში ყოველ იონს შეაქვს თავისი წვლილი, რომელიც ხასიათდება გადატანის რიცხვით v^- —ანიონებისთვის და v^+ —კათიონებისთვის. ზოგადად $0 < v^- < 1$, ასევე $0 < v^+ < 1$ და სამართლიანია $v^- + v^+ = 1$. ოქსიდური ფირის ზრდასთან ერთად მცირდება v^+ და შესაბამისად მცირდება ოქსიდის ფორმირების ეფექტურობა. ეფექტიურობის გაზრდისთვის საჭიროა მოხდეს პროცესის სტიმულაცია მაღალი ტემპერატურით, ან სხვა რაღაც საშუალებებით. ერთ–ერთ ასეთ საშუალებად გამოვიყენეთ პლაზმური ანოდირების პროცესში ნიმუშის დასხივება ულტრაიისფერი სინათლით, რითაც პროცესის ეფექტურობა გაიზარდა რამდენჯერმე, ამასთანვე გაუმჯობესდა ოქსიდის პარამეტრები, ხოლო გალიუმის არსენიდის ოქსიდის შემთხვევაში ზედაპირზე სისქის თანაბრობაც გაიზარდა.


სტიმულირებული პლაზმური ანოდირების მექანიზმის შემუშავებისთვის უნდა იქნას გათვალისწინებული ის პროცესები, რომლებიც მიმდინარეობენ ულტრაიისფერი (უი) სინათლით დასხივებისას ნიმუშზე პლაზმური ანოდირების პროცესში. ამ პროცესებში უი სინათლე ზემოქმედებას ახდენს *პლაზმაზე, დასაყანგი მასალის ზედაპირზე, მის მოცულობაში და გამყოფ საზღვარზე ოქსიდი–ნახევარგამტარი (საფენი) ანიონების და კათიონების გადაადგილებაზე.*

1) როგორც ცნობილია, უი გამოსხივება *პლაზმაში* წარმოქმნის *ოზონს*, რომელიც

ხორციელდება რეაქციით:

$$3 \text{O}_2 \xrightarrow{\text{უი}, \lambda 180 \text{ ნმ}} 2 \text{O}_3 \quad (\text{ნახ.4.28ა}).$$

ოზონის მოლეკულაში ორივე O—O ბმას აქვს ერთნაირი სიგრძე $1,278 \text{ \AA}$, მათ შორის კუთხეა $116,8^\circ$. ჟანგბადის ცენტრალური ატომი sp^2 -ჰიბრიდიზირებულია. ოზონი და ჟანგბადი ქიმიური თვისებებით ძალიან განსხვავებულები არიან. ჟანგბადის ატომებისგან შემდგარი ოზონი ენდოთერმულია, მას აქვს ჭარბი ენერგია, ადვილად




ნახ.4.28. ულტრაიისფერი სინათლით სტიმულირებული პლაზმური ანოდირების სქემატური გამოსახვა: ა) -1) პლაზმაში მიმდინარე პროცესები; -2) და ბ) [158] ოქსიდში მიმდინარე პროცესები და -3) და გ) დიფუზიური ჰანტელის შექმნა და მისი მოძრაობა.

გასცემს ჟანგბადის ერთ ატომს, ავლენს ბევრად უფრო აქტიურ დამჟანგველ თვისებას, ვიდრე ჟანგბადის მოლეკულა [148–152]. ოზონი ჟანგავს თითქმის ყველა მეტალს (პლატინის და ირიდიუმის გარდა).

2) გამყოფ საზღვარზე პლაზმა–ოქსიდი ულტრაიისფერი დასხივება ახდენს იონიზაციას, რომლის შედეგად (1.4) რეაქციით მიიღება დენის დამატებითი გადამტანები [153] (ნახ.4.28–1)), რაც კიდევ უფრო აჩქარებს ოქსიდის ფორმირების პროცესს.

3) ულტრაიისფერი დასხივება ოქსიდური ფირის მიღების პროცესში იწვევს იმას, რომ (ნახ.4.28–2) და ბ) წარმოქმნილი გარდამავალი მეტალის (მაგალითად, ტიტანის) ოქსიდის დამაკავშირებელი $f 3d$ ზონიდან, გადადიან ელექტრონები ანტიდამაკავშირებელ $\uparrow^* 4s$ ზონაში (ნახ.4.29), რითაც სუსტდება ოქსიდის ატომებს შორის ბმის სიმტკიცე [41,47] (ნახ.4.28 ბ). ამ პროცესის შედეგად ჩქარდება ანიონების (v^-) და კათიონების (v^+) ურთიერთ შერევის პროცესი და შესაბამისად, იზრდება ჟანგბადის დიფუზიის კოეფიციენტი, რასაც ხელს უწყობს გარე მოდებული ძაბვა [154].

თეორიულად, რეალურ კრისტალებში შესაძლებელია ჟანგბადის ვაკანსიური, ან კვანძთაშორის (მას ეკუთვნის ჰანტელური) დიფუზია. ჟანგბადის დიფუზიის ვაკანსიური



ნახ.4.29. ტიტანის და ჟანგბადის ატომებისგან შემდგარი მოლეკულური ორბიტალების ენერგეტიკული დიაგრამა

მექანიზმი მოითხოვს დიდ ენერგიას, ამასთანვე, გარდამავალ მეტალთა ოქსიდების ფორმირებისთვის საჭიროა ძირითად ატომთან გაჩნდეს ორი ვაკანსია, რაც ნაკლებად ალბათურია. ამიტომ ეს პროცესი მიმდინარეობს ძალიან ნელა.

